საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №30

ქ. ბათუმი 05 აპრილი, 2017 წ.

„გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ"
აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 დეკემბრის №05 დადგენილებაში
ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. შევიდეს ცვლილებები და დამატებები „გამოცდების ჩატარების ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 5 თებერვლის №05 დადგენილების დანართში №1, კერძოდ კი:

ა) მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ბილეთის ფორმა, საკითხების ოდენობა და შეფასების კრიტერიუმები საგნის ლექტორის მიერ განისაზღვრება სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" მოთხოვნების შესაბამისად."

ბ) მე-2 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. წერითი გამოცდის ხანგრძლივობა უნდა იყოს: დასკვნითი/დამატებითი გამოცდისათვის 2-3 საათი, ხოლო შუალედური გამოცდისათვის 1-1,5 საათი."

გ) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2.ზეპირი გამოკითხვის შემთხვევაში გამოცდის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 10 ასტრონომიულ საათს. საგამოცდო მასალა ერთდროულად გაიცემა მხოლოდ სამ სტუდენტზე. მოსაფიქრებელი ვადა არ უნდა აღემატებოდეს 20 წუთს, ხოლო გამოსაცდელი - 15 წუთს."

დ) მე-2 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით, ლექტორს უფლება აქვს, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ–ს

ბაკალავრიატის და მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვროს გამოცდის სხვა ხანგრძლივობა და ფორმა, რომელიც აისახება შესაბამისი საგნის სილაბუსში.“

ე) მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. რამდენიმე კომპონენტისაგან შემდგარი გამოცდის შემთხვევაში, კომპონენტებს შორის შუალედი არ უნდა აღემატებოდეს ერთ დღეს.“

ვ) მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ჯგუფში სტუდენტთა რაოდენობების გათვალისწინებით საგნის ლექტორი ვალდებულია საგამოცდო წერითი დავალება შეაფასოს შემდეგ ვადებში:

ა) 1-დან 25 სტუდენტამდე – 2 დღე;

ბ) 25-დან 50-მდე სტუდენტამდე – 3 დღე;

გ) 50-დან 70-მდე სტუდენტამდე – 4 დღე;

დ) 70-ზე მეტი სტუდენტი – 5 დღე.“

ზ) მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5.დასკვნითი გამოცდის ბილეთი სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება მოიცავდეს:

ა) თეორიულ საკითხებს - ერთი საკითხი ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;

ბ) პრაქტიკულ დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;

გ) სიტუაციურ ამოცანებს - ერთი ამოცანა ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით;

დ) ღია ან/და მრავალპასუხიან ტესტს - მაქსიმუმ 1 ქულა;

ე) დახურულ ტესტს - მაქსიმუმ 0.5 ქულა;

ვ) სხვა ტიპის დავალებებს - ერთი დავალება ფასდება მაქსიმუმ 5 ქულით.“

თ) ამოღებული იქნას მე-6 მუხლის პირველი პუნქტი.

ი) მე-6 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობიდან არაუგვიანეს 3 დღისა, სტუდენტი წერილობით საჩივარს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარადგენს შესაბამისი ფაკულტეტის დეკანატში. დარეგისტრირებული საჩივარი ფაკულტეტის დეკანის მიერ რეაგირებისათვის გადაეცემა შესაბამისი საგნის ლექტორს არაუგვიანეს 2 სამუშაო დღისა.“

კ) მე-6 მუხლის დაემატოს მე-4[1] პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4[1]. საგამოცდო ცენტრში ჩატარებული შუალედური ან დასკვნითი გამოცდის შედეგების გაცნობისთანავე, სტუდენტი ზეპირი ფორმით აფიქსირებს პრეტენზიას და ითხოვს აპელაციას, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აპელაცია განიხილება იმავე დღეს საგნის ლექტორის მიერ და შედეგი ფიქსირდება შესაბამის ფორმაში, რომელსაც ლექტორი ადასტურებს ხელმოწერით.“

ლ) მე-6 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. წარდგენილ საჩივარს შესაბამისი საგნის ლექტორი განიხილავს 2 სამუშაო დღის ვადაში. დეკანს უფლება აქვს მიიღოს გადაწყვეტილება სტუდენტის შეფასების კომისიური წესით გადახედვის თაობაზე. პრეტენზიის დაკმაყოფილების

შემთხვევაში, ლექტორი/კომისიის თავმჯდომარე რექტორის სახელზე წარადგენს მოხსენებით ბარათს ელექტრონული მართვის სისტემაში საგამოცდო ნიშნის ასახვის თაობაზე.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოც. პროფესორი **მერაბ ხალვაში**